ბათუმის ტელევიზია და რადიო
საზოგადოებრივი მაუწყებელი
საქართველო, 6010,ბათუმი მემედ აბაშიძის, 41
41, Memed Abashidze av. Batumi, 6010, Georgia
Tel : + 995 422 274370/274382
Fax: + 995 422 274384/274371
info@ajaratv.ge
ajaratv.ge

N 02-03/14
07.05.2026

14--4-202605071743

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს სტრუქტურული ერთეულების დებულებებისა და ზოგიერთი მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე და 61-ე მუხლის, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურნეო საბჭოს 2026 წლის 30 აპრილის №629 (ოქმი №541) გადაწყვეტილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დებულების მე-8 მუხლის 8.3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შესაბამისი დანართების მიხედვით დამტკიცდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ქვემოთ ჩამოთვლილი სტრუქტურული ერთეულების დებულებები და მარეგულირებელი წესები:

ა) სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო”-ს დირექტორის აპარატის დებულება - დანართი №1;

ბ) სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო”-ს უსაფრთხოების სამსახურის დებულება - დანართი №2;

გ) სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო”-ს შიდა აუდიტის სამსახურის დებულება - დანართი №3;

დ) სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო”-ს ახალი და მიმდინარე ამბების რედაქციის დებულება - დანართი №4;

ე) სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო”-ს მედია არხების მართვის სამსახურის დებულება - დანართი №5;

ვ) სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო”-ს მედია წარმოების სამსახურის დებულება -დანართი №6;

ზ) სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო”-ს ორგანიზაციული მხარდაჭერის სამსახურის დებულება - დანართი №7;

თ) სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო”-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დებულება - დანართი №8;

ი) სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო”-ს მარკეტინგის სამსახურის დებულება - დანართი №9;
ლ) სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო”-ს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის საქმიანობის მარეგულირებელი წესი - დანართი №10;
მ) სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო”-ს კონტენტის მონიტორინგისა და შეფასების განყოფილების საქმიანობის მარეგულირებელი წესი - დანართი №11;
ნ) სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო”-ს რისკების ოფიცრის საქმიანობის მარეგულირებელი წესი - დანართი №12.
2. წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული მაუწყებლის სტრუქტურული ერთეულების დებულებები და მარეგულირებელი წესები ამოქმედდეს 2026 წლის 01 მაისიდან.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს მაუწყებელში 2026 წლის 01 მაისამდე მოქმედი ყველა სტრუქტურული ერთეულის დებულება.
4. მაუწყებლის მედია არხების მართვის სამსახურმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გამოქვეყნება მაუწყებლის ვებგვერდზე.
5. წინამდებარე ბრძანება გაცნობისა და აღსრულების მიზნით დაეგზავნოს მაუწყებლის დირექტორის მოადგილეებსა და თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის №30), მისი მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

ირაკლი კიკვაძე

დირექტორი